შპს მსოფლიო განათლების აკადემია

დებულება

დამტკიცებულია
დირექტორის 2025 წლის 27 ივნისის №01-01-015
ბრძანებით

ბაღდათი
2025

მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე დებულება წარმოადგენს შპს მსოფლიო განათლების აკადემიის შიდა სამართლებრივ აქტს, რომლითაც რეგულირდება მისი საქმიანობის მართვისა და ფუნქციონირების ძირითადი საკითხები.

მუხლი 2. საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები და სტატუსი

1. შპს მსოფლიო განათლების აკადემია (შემდგომში - „აკადემია“) წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს და მოქმედებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით.
2. აკადემიას პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების განხორციელების უფლება მინიჭებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. აკადემიის, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის, სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და „შპს მსოფლიო განათლების აკადემიის“-ს წესდებით (შემდგომში - „აკადემიის წესდება“), ხოლო მისი საგანმანათლებლო საქმიანობა რეგულირდება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი კანონმდებლობის, აკადემიის წესდების, ამ დებულებისა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
4. საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, აკადემიის საქმიანობის საგანს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება კვალიფიკაციის მინიჭებით. ასევე, უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული მომზადება/გადამზადების ან/და სხვა პროგრამები, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების ენა არის ქართული. სხვა ენაზე სწავლება დაშვებულია, თუ ეს განსაზღვრულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან ამ ენაზე სწავლების საკითხი შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან.
6. აკადემიის სრული სახელწოდებაა:
   ა) ქართულ ენაზე - შპს მსოფლიო განათლების აკადემია;
   ბ) ინგლისურ ენაზე - LTD World Education Academy
7. აკადემიას აქვს საკუთარი ლოგო, ბეჭედი, ბლანკი და საბანკო ანგარიში.
8. აკადემიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქუჩა №24. მითითებულ მისამართზე აკადემია ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას.
9. აკადემიის ოფიციალური ვებგვერდია: www.weaedu.ge, ელექტრონული ფოსტის მისამართია - info@weaedu.ge.
10. აკადემიის საქმიანობის პრინციპები და წესები უზრუნველყოფს:
    ა) პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მხარდაჭერაზე და მასზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას;
    ბ) ყველა დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს სარგებლობის უფლების დაცვას;
    გ) პერსონალის შერჩევის სამართლიანობას, გამჭვირვალობასა და საჯაროობას;

დ) „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვას;

ე) აკადემიის სამართლებრივი აქტების საჯაროობასა და დაინტერესეული პირებისათვის ხელმისაწვდომობას;

ვ) პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაბამისი, სწორი და სრული ინფორმაციის შეტანას.

11. აკადემიის მართვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და აკადემიის შიდა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 3. აკადემიის მისია, ხედვა, ღირებულებები, მიზნები და ამოცანები

1. **აკადემიის მისიაა** - „შექმნას რეგიონისთვის და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და უწყვეტი განათლების მრავალფეროვანი ცენტრი, რომელიც მოამზადებს კვალიფიციურ, კონკურენტუნარიან კადრებს, ხელს შეუწყობს მათ სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, ადაპტაციას თანამედროვე გლობალიზირებულ სისტემაში.“
2. **აკადემიის ხედვაა** - „რეგიონისა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი მრავალფეროვანი, სამართლიანი, ინკლუზიური, უწყვეტი პროფესიული განათლების სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური დარგის სპეციალისტების მომზადებას, ინტელექტუალური და სოციალური უნარების, კულტურული ცნობიერების, ინფორმაციული ტექნოლოგიების და ტურიზმის სფეროს განვითარებას, რაც განსაკუთრებით დაეხმარება რეგიონის განვითარებას, ხელმისაწვდომი გარემოს შექმნას, თვითრეალიზაციასა და თვითდასაქმებას.“
3. **აკადემიის ღირებულებებია:**
   - ✓ **საგანმანათლებლო საზოგადოება - გუნდურობა** - გუნდის თითოეული წევრი ორიენტირებულია საერთო მიზნების მიღწევაზე და ჩართული არის ეფექტური სასწავლო პროცესის ხელშეწყობასა და გაძლიერებაში, დაწესებულების ღიაობისა და გამჭვირვალეობის მაღალი სტანდარტით;
   - ✓ **მუდმივ განვითარებაზე ორიენტირება** - აკადემიის წევრთა განვითარება, შრომის ბაზარზე არსებული საჭიროებების განსაზღვრა, ინოვაციური მიდგომების მხარდაჭერა;
   - ✓ **სამართლიანობა და თანასწორობა** - აკადემიის საზოგადოება გამოირჩევა მიმღებლობით და პატივს სცემს თითოეული წევრის უფლებებს, კონფიდენციალურობას, საკუთრებას, გამოხატვის თავისუფლებას. აკადემიის თითოეულ წევრი (სტუდენტები/დასაქმებული პერსონალი) თავს გრძნობს სოციუმის სრულუფლებიან წევრად განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, ენის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის და სხვა ნიშნისა;
   - ✓ **ხარისხზე ორიენტირებულობა** - სტუდენტებისათვის მაღალი ხარისხის სერვისების და პროგრამების შეთავაზება, სწავლისათვის თანაბარ გარემოში ხელმისაწვდომობით.

4. **აკადემიის მიზანია** პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა, მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა.
5. აკადემიას, დასახული მისიისა და მიზნის მისაღწევად, დასახული აქვს ამოცანები:

ა) უწყვეტი პროფესიული განათლების უზრუნველყოფა;

ბ) თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება;

გ) საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირება/მოდიფიცირება, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით;

დ) საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და მის განვითარება-მოდერნიზაციაზე მუდმივი ზრუნვა;

ე) მაღალკვალიფიციური პერსონალის გუნდის (მათ შორის, პროფესიული მასწავლებლების) შექმნა და მათ პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა;

ვ) საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში აკადემიის ადაპტაციისათვის, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტთა საერთაშორისო მობილობისათვის მაქსიმალურად ხელშეწყობა;

ზ) სასწავლო გარემოსა და პროცესის ორგანიზება, თითოეული პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის განსაკუთრებული/ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით;

თ) პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირების, კარიერის დაგეგმვის სისტემისა და მრავალფეროვანი სტუდენტური სერვისების უზრუნველყოფა და განვითარება;

ი) პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა და ამ მიზნით დამსაქმებლებთან ან/და მათ გაერთიანებებთან აქტიური თანამშრომლობა;

კ) აკადემიის განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში პროფესიულ სტუდენტთა, მსმენელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პარტნიორების მონაწილეობა;

ლ) აკადემიის ტერიტორიაზე უსაფრთხო გარემოს შექმნა;

მ) საზოგადოებაში პროფესიული განათლების ცნობიერების ამაღლება და ჯანსაღი ხედვის ფორმირების ხელშეწყობა;

ნ) პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელთა პიროვნული ზრდის ხელშემწყობი ღონისძიებების, კულტურული, სპორტული აქტივობების განხორციელება;

ო) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარება.

მუხლი 4. აკადემიის მართვა, სტრუქტურა და პერსონალი

1. აკადემიის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს მართვის ორგანოებს (სუბიექტებს), ადმინისტრაციულ და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან სუბორდინაციისა და კოორდინაციის პრინციპით.
2. აკადემიის მართვა საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების საფუძველზე და უზრუნველყოფს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების/პერსონალის საქმიანობის სრულყოფილად და კოორდინირებულად წარმართვას, აკადემიის შეუფერხებელი და გამართული მუშაობის, მიზნების მიღწევისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების რეალიზების მიზნით.
3. აკადემიის მოქმედ სტრუქტურაში, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პერსონალის ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

4. **აკადემიის მართვის ორგანოებია** (მმართველი სუბიექტებია):
   - პარტნიორთა საერთო კრება;
   - დირექტორი.
5. დირექტორს ჰყავს ორი მოადგილე:
   - დირექტორის მოადგილე ხარისხის მიმართულებით;
   - დირექტორის მოადგილე სასწავლო-საკომუნიკაციო მიმართულებით.
6. დირექტორის მოადგილეები ეხმარებიან დირექტორს აკადემიის მართვაში, ისინი კოორდინაციას უწევენ და ზედამხედველობენ მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების/პერსონალის საქმიანობას.
7. ხარისხის მიმართულებით დირექტორის მოადგილის საქმიანობის მიზანია აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი პროცესის მართვა და განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა, შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებითა და რეალიზებით.
8. სასწავლო-საკომუნიკაციო მიმართულებით დირექტორის მოადგილის საქმიანობის მიზანია აკადემიაში სასწავლო პროცესის, კომუნიკაციებისა და სტუდენტური სერვისების ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ადმინისტრაციული ფუნქციების დაგეგმვა, მართვა და კონტროლი.
9. დირექტორის მოადგილეები ანგარიშვალდებულნი არიან დირექტორის წინაშე, მათ შორის, მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების/პერსონალის მიერ შესრულებულ სამუშაოზე.
10. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას დროებით ასრულებს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ერთ-ერთი მოადგილე, რომელსაც ეზღუდება პროფესიულ დიპლომზე ხელმოწერის უფლებამოსილება. ამასთან, დამატებით, ფინანსური ხასიათის დოკუმენტებზე ხელმოწერის უფლებამოსილება განისაზღვრება მინდობილობით.
11. **აკადემიის სტრუქტურული ერთეულებია:**
   - საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
   - ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი;
   - სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;
   - საზოგადოებასთან ურთიერთობის, სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური;
   - ბიბლიოთეკა;
   - ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური;
   - ინფორმაციული ტექნოლოგიების კოორდინატორი;
   - ექიმი.
12. სტრუქტურული ერთეულები/პერსონალი ანგარიშვალდებულნი არიან აკადემიის დირექტორის/კურატორი დირექტორის მოადგილის წინაშე.
13. **აკადემიის პერსონალს მიეკუთვნება:**
   - ადმინისტრაციული პერსონალი;
   - დამხმარე პერსონალი;
   - პროფესიული განათლების მასწავლებლები.
14. ადმინისტრაციული პერსონალია აკადემიის საშტატო განრიგით გათვალისწინებული პოზიციაზე დაკავებული (შტატიანი) თანამშრომლები (დირექტორი, დირექტორის მოადგილე/მოადგილეები, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი და სხვა).
15. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნებიან შტატგარეშე, ხელშეკრულებით დასაქმებული

პირები, გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალისა.

16. აკადემიის უსაფრთხოების დაცვა გატანილია აუთსორსზე.
17. აკადემიის პერსონალის (გარდა დამხმარე პერსონალისა) კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნები, მოვალეობები, უფლებები და პასუხისმგებლობა განისაზღვრება მათი თანამდებობრივი ინსტრუქციით და მტკიცდება დირექტორის ბრძანებით.
18. დამხმარე პერსონალის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით.
19. პერსონალის დანიშვნასა და გათავისუფლებაზე უფლებამოსილია დირექტორი.
20. პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობა და წახალისების მექანიზმები განსაზღვრულია აკადემიის შინაგანაწესით.
21. აკადემიაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.

მუხლი 5. პარტნიორთა კრება

1. პარტნიორთა კრება არის აკადემიის მართვის უმაღლესი ორგანო, რომლის უფლებაუნარიანობა წარმოშობილია და რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და აკადემიის წესდებით (დამტკიცებულია პარტნიორთა საერთო კრების მიერ, ოქმი №1, 19.10.2023).
2. პარტნიორთა კრება ახორციელებს აკადემიის მართვას მისი გადაწყვეტილებით დანიშნული დირექტორის მეშვეობით, რომელსაც გადასცემს აკადემიის მართვისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას.

მუხლი 6. დირექტორი და მისი უფლებამოსილებანი

1. დირექტორი მართავს აკადემიას ერთპიროვნულად, გარდა აკადემიის წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
2. დირექტორი საქმიანობისას მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, აკადემიის წესდებისა და ამ დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოფს აკადემიის საქმიანობის კანონიერებასა და მართვის ეფექტიანობას, თანამშრომლობს სახელისუფლებო ორგანოებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, წარმოადგენს აკადემიას მესამე პირებთან ურთიერთობაში;
3. დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პარტნიორთა კრება.
4. დირექტორი პასუხისმგებელია აკადემიის პარტნიორთა კრების წინაშე.
5. დირექტორი:

   ა) გამოსცემს საგანმანათლებლო და სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით შიდა სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს და მარეგულირებელ დოკუმენტებს (დებულებას, შინაგანაწესს და სხვა), თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

   ბ) უზრუნველყოფს ხელშეკრულებების/მემორანდუმების დადებასა და შესრულებას

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) გასცემს განსაზღვრული ფორმის პროფესიული განათლების კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელ დოკუმენტს - დიპლომს;

დ) მოქმედი კანონმდებლობის თანახმად აფორმებს ხელშეკრულებებს აკადემიის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან/მათ წარმომადგენლებთან;

ე) საჭიროებიდან გამომდინარე იწვევს პროგრამის განმახორციელებელ პირებს;

ვ) განსაზღვრავს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ვადებს;

ზ) განკარგავს აკადემიის ფინანსებსა და ქონებას, დამფუძნებლებთან შეთანხმებით;

თ) ამყარებს საერთაშორისო სასწავლო და კომერციულ კავშირებს;

ი) უზრუნველყოფს აკადემიის მისიის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას;

კ) შეიმუშავებს და ამტკიცებს აკადემიის სტრუქტურას, საშტატო განრიგსა და თანამდებობრივ ინსტრუქციებს, ამ დებულებით განსაზღვრული რეგულაციების გათვალისწინებით;

ლ) დამტკიცებული სტრუქტურის/საშტატო განრიგის შესაბამისად, პირდაპირი დანიშვნის და/ან კონკურსის გზით თანამდებობაზე ნიშნავს და ასევე ათავისუფლებს თანამშრომლებს;

მ) ადგენს აკადემიის პერსონალის ხელფასის ოდენობას;

ნ) შეიმუშავებს და ამტკიცებს აკადემიის ბიუჯეტს, უთანხმებს პარტნიორთა კრებას;

ო) ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას შრომის ბაზრის ტენდენციების გათვალისწინებით;

პ) ანიჭებს პირს პროფესიული სტუდენტის სტატუსს, რომელმაც კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვა აკადემიაში სწავლის უფლება, ასევე, კანონმდებლობითა და აკადემიის შიდა აქტებით დადგენილი წესით უჩერებს, უწყვეტს და აღუდგენს პირს პროფესიული სტუდენტის სტატუსს; გამოსცემს ბრძანებებს პროფესიულ სტუდენტთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის წარდგინებით;

ჟ) განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის ოდენობასა და გადახდის წესს, აწესებს შეღავათებს;

რ) უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და თანამშრომელთა სტიმულირების მექანიზმების შექმნას, პერსონალის პროფესიულ განვითარებას;

ს) პერიოდულად წარუდგენს პარტნიორთა კრებას თხრობით ანგარიშს;

ტ) საჭიროებისამებრ ქმნის სამუშაო ჯგუფებს;

უ) ზრუნავს აკადემიის კონკურენტუნარიანობასა და მის პოპულარიზაციაზე;

ფ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, საქართველოს კანონმდებლობის, აკადემიის წესდებისა და ამ დებულების შესაბამისად.

მუხლი 7. პროფესიული განათლების მასწავლებელი

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირი.
2. პროფესიული განათლების მასწავლებელი მონაწილეობას იღებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის წარმართვაში, უწევს სათანადო კონსულტაციებსა და რეკომენდაციებს პროფესიულ სტუდენტებს სასწავლო პროცესის და შეფასების სისტემის შესახებ.

3. პროფესიული განათლების მასწავლებელად ინიშნება პირი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროფესიული განათლების მასწავლებელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის დირექტორი.
4. აკადემიას, სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის, ჰყავს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შერჩეული შესაბამისი ოდენობის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობას.
5. აკადემია უფლებამოსილია, პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის მიზნით, დაადგინოს პროფესიული განათლებლის მასწავლებლისათვის დამატებითი მოთხოვნები.
6. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ დისციპლინური წარმოება დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი უნდა იყოს და იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ აკადემიის მიერ დადგენილი წესით.
7. პროფესიულ მასწავლებელს უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს აკადემიის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 8. პროფესიული სტუდენტი და მსმენელი, მათი უფლებები

1. პროფესიული სტუდენტი არის პირი, რომელიც ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და აკადემიის შესაბამისი აქტით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის ბრძანება N42/ნ დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ შესაბამისად.
3. მსმენელი არის პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების პროგრამაზე, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ან/და მოკლევადიან სასერთიფიკატო ტრენინგ-კურსზე;
4. აკადემიაში პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამის პროგრამაზე დაშვების წინაპირობას.
5. **პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს:**

ა) მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;

ბ) ისარგებლოს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა რესურსით;

გ) მიიღოს ინფორმაცია მისი უფლებების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და აკადემიის რესურსების შესახებ;

დ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს საგამოცდო შედეგი;

ე) მიიღოს კონსულტაცია საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის, ასევე, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ;

ვ) მიიღოს მონაწილეობა აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის შეფასებაში;

ზ) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური პროგრამის შემუშავებაში;

თ) ისარგებლოს მობილობის უფლებით;

ი) ისარგებლოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებებით.

6. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი საკუთარ უფლება-მოვალეობებს ეცნობა ხელშეკრულების გაფორმების დროს და ასევე, აკადემიის მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრაზე.

მუხლი 9. აკადემიის ქონება და დაფინანსება

1. აკადემიის ქონება წარმოადგენს მის საკუთრებას და გამოიყენება დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად.
2. აკადემიის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
   ა) დამფუძნებლების მიერ განხორციელებული ფულადი და არაფულადი შენატანები;
   ბ) პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მიერ შემოტანილი გადასახადები;
   გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.
3. ყველა შემოსავალი და ხარჯი აისახება აკადემიის ბიუჯეტში.
4. აკადემიის სახსრების განკარგვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. საქმიანობის და საფინანსო კონტროლი

1. აკადემიის საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო კონტროლს ახორციელებს აკადემიის დამფუძნებელ/პარტნიორთა კრება.
2. აკადემიის დამფუძნებელ/პარტნიორთა კრება უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს აკადემიის დირექტორის ნებისმიერი არამართლზომიერი გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება უძრავი ქონების შეძენას, აკადემიის სარგებლობაში არსებული ქონების გასხვისებას ან/და დატვირთვას და სხვა.

მუხლი 11. აკადემიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. აკადემიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება აკადემიის დამფუძნებელ/ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით.
2. აკადემიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება საქართველო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაში შედის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებისთანავე.
2. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება დირექტორის ბრძანებით.
3. წინამდებარე დებულების ძალაში შესვლის შემდეგ, მთლიანად ან ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩაითვალოს აკადემიის ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც სხვაგვარად აწესრიგებენ ამ დებულებით გათვალისწინებულ ნორმებს.